პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი წლების მანძილზე იკვლევს გერმანული ენის ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის პრობლემებს. მას გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია „გერმანული იდიომატიკა და მისი სწავლების საფუძვლები“ (2001), გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“ (2010წ.), ,,შესავალი გერმანიკულ ფილოლოგიაში“. არის DAAD-ის „სამეცნიერო კვლევა პოტსდამის უნივერსიტეტში“ კურსდამთავრებული. მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარში ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში (2000). ამჟამად მუშაობს „საქმიანი კომუნიკაციის გერმანულ-ქართულ-რუსულ თემატურ ლექსიკონზე“. მონაწილეობა მიიღო **Erasmus+** გაცვლითი პროგრამის აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტში **(2019).** გამოქვეყნებული აქვს 65-ზე მეტი სამეცნიერო სტატია სხვადასხვა, მათ შორის, საერთაშორისო ჟურნალებში. მონაწილეობას ღებულობდა ადგილობრივ და საერთაშორის სამეცნიერო ფორუმებში. წლების განმავლობაში იყო გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და არის ერთი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი.